



ბორჯომი

9 ივნისი
ხუთშაბათი
2022 წელი
№23 (9233)

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ფასი 40 თეთრი

დაათვალიერეს ინტერსტრუქტურული პროექტი

ბორჯომის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** და ბორჯომის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედაშენი-ველობის სამსახურის განყოფილების ხელმძღვანელებმა ბორჯომის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს. ინფრასტრუქტურულ პროექტებს ადგილზე გაეცნენ და სამუშაოების მიმდინარეობის ხარისხი შეისწავლეს. ასევე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **მამა ანდრიაშვილმა** ერთად სოფელ ყვიბისში ათანასე ათონელის სახელობის მამათა მონასტრის მშენებლობის პროექტი დაათვალიერა. ბორჯომში ინფრასტრუქტურული პროექტები რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება. ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს ალმაშენებლის №35, მესხეთის

უბლის ასევე მოენყობა 400 მეტრზე სანიტარული არხი. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 459 ათასი ლარია გამოყოფილი. პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, ბორჯომში, კოსტავას სახელობის მოედნისა და პარკის რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია.

პროექტის ფარგლებში მოედანზე დაიგო ქვანახილი, მოენყობა ფეხით სავალი ნაწილები და დასასვენებელი სივრცე. კოსტავას სახელობის პარკში მიმდინარეობს ფეხით სავალი ნაწილების რეაბილიტაცია. მოენყობა საბავშვო გასართობი სივრცე, ღია კინოთეატრი, ჭადრაკის დაფა, დასასვენებელი ფანჯარა, პერგოლა, კაფე, არსებულ შადრევანს ჩაუტარდება რეაბილიტაცია. დამონტაჟდება დეკორატიული ურნები, სკამები, გარეგანათების ლამპონები და წყლის ბიუვეტი. სრულად გამწვანდება პარკის ტერიტორია.

პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 4 მილიონ 200 ათასი ლარით ფინანსდება. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს სილამაზის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები. რეაბილიტაციის ფარგლებში დაგეგმილია დაზიანებული ხის მასალის გამოცვლა და სავალი ნაწილის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით.



№35 და №61-ში ქუჩების მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია.



სოფელ ყვიბისში ენდრიაშვილებისა და ციციშვილების უბნებში გზის 1 კილომეტრიან მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგება მიმდინარეობს.

კვლად დიდას და სახელს გააფრთხილეთ!

არ მეგულება ადამიანი ბორჯომში, რომელიც არ განიცდიდეს ჩამომსხმელ ქარხნებში შექმნილ არასახარბიელო სიტუაციას. ჩამომსხმელთა ყოველდღიური აქციები დღემდე რჩება ყოველგვარი რეაგირების გარეშე, თუმცა მუშა-მომსახურეთა კოლექტივის გულისტკივილს ყველა განიცდის და

ხელმძღვანელს ბატონ **ვანო მაჭავარიანს** შევხვედროდით. საუბარი ნერვიულ ატმოსფეროში წარიმართა. ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები აქციის მონაწილეებს ვუჭერდით მხარს და აქციის მონაწილეთა მოთხოვნების სამართლიანობა გვაინტერესებდა. ჩვენი საუბარი ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. მრავალ კითხ-



ვანო მაჭავარიანს ვთხოვეთ, გვითხროს, ბორჯომის ჩამომსხმელთა სახელოვანი კოლექტივი აქციებით გამოსულიყოს და მოეთხოვოს ხელფასების მომატება, სხვადასხვა სოციალური და შრომის პირობების გაუმჯობესების საკითხები.

ორ კვირაზე მეტია №1 ჩამომსხმელ ქარხნის ტერიტორია ბლოკირებულია და ჩამომსხმელები არაერთ პრობლემას აუღერებენ კომპანიის და ხელისუფლების გასაგონად და რეაგირებისათვის.

სამსუხაროდ, ჩამომსხმელთა მოთხოვნების გადაწყვეტა რჩებოდა „ხმა მლაღადისად უდაბნოსა შინა“.

რედაქცია არაერთხელ გამოემხურა მუშათა კოლექტივის მოთხოვნებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ურემი ისევ „ლაფშია ჩაფლული“, მუშათა მოთხოვნებმა დღემდე სამართალი ვერ პოვა.

მაინც რას ითხოვენ ჩამომსხმელები?

- მათი არაერთი მოთხოვნაა, - გვამუშავეთ და ობიექტურად შეაფასეთ ჩვენი შრომის ანაზღაურება; დააბრუნეთ ქარხნიდან განთავისუფლებული 50 ადამიანი; შრომითი კოლექტივისა და ადმინისტრაციის შორის გაფორმდეს უფადო ხელშეკრულება; აღმოიფხვრას დაზიანების, შანტაჟის, მუქარისა და იძულების ფაქტები; დადგეს ადმინისტრაციის ცალკეული პირების პასუხისმგებლობის საკითხი, გაფორმდეს კოლექტიური ხელშეკრულება და დადებითად გადაწყდეს სხვა მნიშვნელოვანი დეტალები.

აქციის მონაწილეები ითხოვენ, კომპანიის ხელმძღვანელობამ და რესპუბლიკის მთავრობამ გულთან ახლოს მიიტანოს მუშათა კოლექტივის პრობლემები და მოუსმინოს, ითხოვენ პრობლემათა სამართლიანად გადაწყვეტას.

განსჯისათვის: მუშათა მოთხოვნებში არის სხვა ანსტრატული და დასაწყვეტი საკითხიც, თუნდაც მინცალი ბორჯომელთა საკუთრებაა და ამ წყლის სიკეთით ყველა ბორჯომელი უნდა სარგებლობდეს. როგორც ჩანს, ავიწყდებათ, რომ კაპიტალისტურ სისტემაში არსებული წესები ცხოვრებაზე გადავდებით, მეპატრონე თავის ხელქვეითებს ხელფასებს თავის შეხედულებისამებრ უნიშნავს.

პროფკავშირული ორგანიზაცია თუ მისი წარმომადგენელი ადმინისტრაციასა და მუშათა კოლექტივს შორის მედიატორი, შემოგვბელი უნდა იყოს და არა „ცეცხლზე ნავთის“ დამსხმელი. **გასულ** კვირას ქალაქის საზოგადოებრივების წარმომადგენლებს გვთხოვეს კულტურის სახლში კომპანიის

ვაზე მოუწია გენდირექტორს პასუხის გაცემა, ბევრს კიდევ დავეთანხმეთ, მაგრამ დარჩა პასუხგაუცემელი კითხვები, რომლებზეც კომპანიის ხელმძღვანელობამ გულისხმიერად უნდა ილვანოს მათ დადებითად გადასწყვეტად. გასაგებია „ბორჯომის“ მინცალის რეალიზაციის დღეს სერიოზულად აფერხებს რუსეთ-უკრაინის ომი, მსოფლიოს ქვეყნების რუსეთისათვის გამოცხადებული სანქციები, რომელმაც მართო საქართველო კი არა, მთელ მსოფლიოში გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი.

ბატონმა ვანო მაჭავარიანმა გულახდილად განაცხადა, „ბორჯომი“ საქართველოს საეკონომიკური ბარათია, ქვეყნის ღირსების სახე სიამაყეა, ყველაფერს ვაკეთებთ კრიზისიდან გამოსასვლელად, მაგრამ ჩვენს მუშაობაში არის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური პრობლემები. რუსეთის სანქციაზე გვინდა დაგვიხმონ ჩვენი კომპანია უკიდურესად დააზარალოს. იძულებული გავხდით, დროებით შეგვეცვინებინა მუშახელი. დღეს ქარხანა 20%-ითაა დატვირთული, ბევრმა მომხმარებელმა მინცალზე უარი გამოგვიცხადა. თუ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდება, იძულებული ვიქნებით, მუშახელი კიდევ შევამციროთ, კომპანიაში მეტად მძიმე ფინანსური სიტუაციაა. თუ პროდუქცია არ გაიყიდება, კიდევ უფრო გაგვიჭირდება. დღეს კომპანიას ნისიად შემოაქვს ბოთლი, ეტიკეტი, ნებო, დენი, გაზი და ა.შ. მართო მუშის ქარხნის წინაშე 24 მილიონი ლარი გვაქვს გადასასადელი. ყველაზე მსხვილ მომხმარებლებს რუსეთი და უკრაინა წარმოადგენს, მათ შორის ომი და „ბორჯომი“ არცერთს ესაჩიროება. არ დაგვაყინებდეს, რომ „ბორჯომი“ სოციალური პროგრამაა და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მუშახელი არ შევამციროთ. არ წავალ ბორჯომიდან, სანამ ყველა თანამშრომელს სათითაოდ არ შევხვდები, დაგვაიმედა ბატონმა ვანო მაჭავარიანმა.

შეხვედრისას ისიც თვალნათლივ გამოვიკვთა, რომ ქარხანაში არსებული მენეჯმენტი ვერ პასუხობს სადაღიესო მოთხოვნებს, ეს კომპანიაშიც და ქარხანაშიც კარგად იციან და სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა გადაიდგას გადამჭრელი ნაბიჯები. ადმინისტრაციასა და შრომითი კოლექტივს შორის არსებული „ხედავითილობა“ უნდა გამოიწვიოს, ტრადიციულად პასუხისმგებლობის მაღალი დონით, შრომის დისციპლინის განმტკიცებით, ერთსულოვნებით შესაძლებელია საერთო ენის გამოხატვა. პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტა შეაძლებინებს კომპანიას „ბორჯომს“ ძველი დიდება და სახელი დაუბრუნოს.

შეხვედრისას ისიც თვალნათლივ გამოვიკვთა, რომ ქარხანაში არსებული მენეჯმენტი ვერ პასუხობს სადაღიესო მოთხოვნებს, ეს კომპანიაშიც და ქარხანაშიც კარგად იციან და სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა გადაიდგას გადამჭრელი ნაბიჯები. ადმინისტრაციასა და შრომითი კოლექტივს შორის არსებული „ხედავითილობა“ უნდა გამოიწვიოს, ტრადიციულად პასუხისმგებლობის მაღალი დონით, შრომის დისციპლინის განმტკიცებით, ერთსულოვნებით შესაძლებელია საერთო ენის გამოხატვა. პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტა შეაძლებინებს კომპანიას „ბორჯომს“ ძველი დიდება და სახელი დაუბრუნოს.

შეხვედრისას ისიც თვალნათლივ გამოვიკვთა, რომ ქარხანაში არსებული მენეჯმენტი ვერ პასუხობს სადაღიესო მოთხოვნებს, ეს კომპანიაშიც და ქარხანაშიც კარგად იციან და სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა გადაიდგას გადამჭრელი ნაბიჯები. ადმინისტრაციასა და შრომითი კოლექტივს შორის არსებული „ხედავითილობა“ უნდა გამოიწვიოს, ტრადიციულად პასუხისმგებლობის მაღალი დონით, შრომის დისციპლინის განმტკიცებით, ერთსულოვნებით შესაძლებელია საერთო ენის გამოხატვა. პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტა შეაძლებინებს კომპანიას „ბორჯომს“ ძველი დიდება და სახელი დაუბრუნოს.

მოეწყობა მინი-სპორტული მოედანი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ საკირეში მინი-სპორტული მოედანის მოწყობა დაიწყო.

პროექტი ითვალისწინებს კომბინირებული, ხელოვნურსაფარის ახალი მინი სპორტული მოედნის მოწყობას. მოედანზე დაიგება მწვანე ხელოვნური საფარი, დამონტაჟდება ფეხბურთის კარი, კალათბურთის ფარი და განათება. ასევე, მინი-მოედანი შემოიღობება ლითონის კონსტრუქციით.

ახალგაზრდების სურვილი იყო, რომ სოფელში მინი მოედნი მოწყობილიყო და ჩვენ, რა თქმა უნდა, დავეთანხმეთ მათ თხოვნას. მათი ჩართულობა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის საქმეში უმნიშვნელოვანესია.



მსგავსი მინი-მოედანი სხვადასხვა სოფლებში მოეწყობა. პროექტი მომავალ, 2023 წელსაც გაგრძელდება, - აღნიშნა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა**.

მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები



ბორჯომის საბავშვო ბიბლიოთეკის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. სამუშაოების ფარგლებში, სრულად განახლდება შენობის ფასადი. შეიცვლება საკომუნიკაციო სისტემა, კარ-

ფანჯარა, მოენყობა სახანძრო სიგნალიზაცია, შენობა გადაიხურება ახალი სახურავით. ასევე, ოთახებს ჩაუტარდება სარემონტო სამუშაოები. ბორჯომში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი - საბავშვო ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია განხორციელდება. ეს იყო მოძველებული სივრცე, ამიტომ, სრულად განახლდება შენობა, რათა ბავშვებმა კომფორტულ პირობებში შეძლონ განათლების მიღება, - განაცხადა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა**.

საბავშვო ბიბლიოთეკის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 189 500 ლარია გამოყოფილი.

საპროექტო ბიუჯეტის 120 მლნ-ს შორის პირველი 40 მლნ-ს

ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული, ბიუჯეტის გამჭვირვალობის 2021 წლის კვლევის (Open Budget Survey - 2021) შედეგების მიხედვით, საქართველომ მსოფლიოს 120 ქვეყანას შორის პირველი ადგილი დაიკავა. კვლევა შეისწავლის მთავრობის მიერ საჯარო ფინანსების მართვის სისტემას: ბიუჯეტის გამჭვირვალობის;

საბიუჯეტო პროცესში მხარეთა ჩართულობის; ბიუჯეტის მართვაზე ზედამხედველობის მიმართულებით. აღნიშნული მაჩვენებლით, საქართველოში მიმდინარე საჯარო ფინანსების მართვის რეფორმამ ფიციანდელი მოიპოვა საერთაშორისო აღიარება და დადასტურდა ბოლო ათწლეულის მანძილზე გატარებული ღონისძიებების შედეგები.

P.S. წერილი დასაბუთდება მზად იყო, როცა შეეიტყვეთ, 6 ივნისს აქციის მონაწილეებმა ჩამომსხმელი ქარხნების პიკეტირება დაიწყეს, რასაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კახიანი** განაცხადებდა. ოპერატიულად გადაწყდა ბორჯომში გამოეგზავნათ შრომის ინსპექციის წარმომადგენლები და მედიატორის ჩარევით გარკვეულიყო ადმინისტრაციასა და აქციის მონაწილეთა შორის არსებული პრობლემები. მომავალ კვირაში რესპუბლიკის ხელისუფლებამ კონკრეტულად იმსჯელებს ბორჯომის მინცალის წარმოების, რეალიზაციისა და სხვა აქტუალურ პრობლემებზე.

ვალერიან ლომიძე.

საუბარი მუნიციპალიტეტის მართვით

როსა აკოპოშვილი: „ქვე საშუაო სარისხოდ უნდა უსრულდეს“

ამ ერთი თვის წინ, მასხოვს, ბორჯომის სამუსიკო სკოლაში სა-ზოგადოება „ბორჯომელების“ წევრებს შეხვედნენ რაიონის ხელმძღვანელები: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ოთარ არბოლიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი. მაშინ მე, პირადად, გაოცებული დავრჩი იმით, რომ მათ არა მარტო ამომწურავად უზუსტეს დამსწრეთა კითხვებს, რაიონში არსებული ყველა წვლილმანი თუ მსხვილმანი პრობლემის ძირფესვიანი ცოდნა და მათი გადაჭრის გზების მუდმივი ფიქრი და მზაობა გამოხატეს. ახლაც, როდესაც ბატონი ოთარ-თან შესახვედრად ვემზადებოდი, ვიცოდი, რომ მასთან საუბარში ჩვენი მუნიციპალიტეტის ცხოვრების ზოგიერთ სიახლეს გავცნობიდი.



18 თვის შემდეგ დასრულდება. ამისათვის ცენტრალურის ბუჯეტიდან გამოყოფილია 6,5 მილიონი ლარი.

ასეც მოხდა. სასიამოვნო სიახლე იყო ის, რომ მალე დაიწყება სოფლების დევირის, ქვაბისხევის და ქობისხევის გაზიფიცირების სამუშაოები, რომელიც ამ წელსვე უნდა დასრულდეს. და ამაში დიდი წვლილი, როგორც ბატონმა მერმა მითხრა, ჩვენი რეგიონის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ ანტონ ობოლაშვილს მიუძღვის.

ჩემთვის სიახლე იყო შემდეგიც: თუ რომელიმე ობიექტზე სამუშაოები ხარისხიანად არ შესრულდება, ხელშეკრულების მიხედვით, რაიონის ხელისუფლებას, როგორც დამკვეთს, შეუძლია უხარისხოდ შესრულებული სამუშაო ხელმოკრება და დაწყების და, საერთოდ, გარანტია აქვთ იმისა, რომ სამი წლის განმავლობაში ობიექტის უხარისხობის გამოვლენის შემთხვევაში სამუშაოთა მხარმოებელმა ხარვეზი აუცილებლად უნდა გამოასწოროს თავისი სახსრებით. ამისი მაგალითიც სახეზეა: ახლახანს კოსტავას მოედანზე დაგებული ქვაფენილი ააყრევინეს და სამუშაო ხელმოკრედ დააწყვიტინეს. უფრო მეტიც: მეორედ დაგებული უხარისხო ალმონდა და მოედნის მცირე ფართობზე დაგება მესამედ დაიწვეს! ბატონი ოთარ გაცოცხლებული მეუბნება: როგორც ჩანს, მშენებლები წინა წლებში მიჩვეული იყვნენ უხარისხოდ კეთებას, ეს შერჩათ (გავისხინეთ ქალაქის ცენტრში ტროტუარებზე უხარისხოდ დაგებული ფილები), მაგრამ ამის შემდეგ ასე აღარ გაგრძელდება.

ვკითხე კოსტავას ბაღის მიმდინარე და გაჭიანურებულ სამუშაოებზე. ბატონი რეკონსტრუქციის პრემიერის ინიციატივით დაწესებულ „განახლებული რეგიონის“ პროექტითა გათვალისწინებული. უამინდობის გამო სამუშაოები გაჭიანურდა და ოქტომბერში დასრულდება. ბაღში არსებული ყოფილი კავალერიის შენობის რეაბილიტაცია დასრულებულია, ავეჯის შემოტანას და გასხნას ველოდებითო (რაიონის ნორჩი მოჭადრაკეები მოუთმენლად ელოდებიან მის გასხნას, რადგან, ერთი ოთახი „ჭადრაკის“ დაეთმობა!).

შეუსრულებელ და დაუთმარებელ ობიექტთა რიცხვს მიეკუთვნება ნალვერის კულტურის სახლიც, რომლის სრულ ამოქმედებას ნალვერელები (და არა მარტო ნალვერელები) მოუთმენლად ელოდებიან. აქ შესასვლელში და ერთ-ერთ აივანზე ცუდი გადახურვის გამო წყალი ჩამოდის. აქვე მოსაგვარებელია შიდა განათება, განმეორე-

ბა, კულისების მოწესრიგება. სამუშაოები, სამწუხაროდ, წელსვე დაიმათვრდება და მისი სახეიმი გახსნა მომავალი წლისათვის იგეგმება. ბატონ მერს, რასაკვირველია, ვკითხე ნალვერის სახ-მელი წყლით მომარაგებაზეც, რომლის რეაბილიტაცია წლობით ჭიანურდება. წყლის სისტემის მწყობრში ჩაყენებით ისარგებლებენ არა მარტო ნალვერელები, არამედ დაბლებიც და ტიმოთისუბნელებიც. ნალვერის შიდა ქსელი უკვე დამთავრებულია. ეს სამუშაო 1 ივნისს დაიწყო და ცენტრალურის ბუჯეტიდან გამოყოფილია 6,5 მილიონი ლარი.

ტაბანყურიდან ახაქალაქის მიმართულებით წელს დაიგება ასფალტის 2 კილომეტრისა და 200 მეტრზე. (სულ 6 კილომეტრია გასაკეთებელი). სამუშაოებს აფინანსებს მთის განვითარების ფონდი. ბორჯომი სათანადოდ ემზადება საკურორტო სეზონის დაწყებისათვის. შენობების ფასადები დასრულდა სხვადასხვა ლოკაციებზე: განახლდა ე.წ. „ორბიტის“ შენობა, დასრულდა შიმოუსკულელთა სკვერის გვერდით და №6 სკოლის მიმდებარე შენობები, მალე დასრულდება ორი მალღვივი საცხოვრებელი სახლი მესხეთის ქუჩაზე, ვაშლოვანის დასახლებაში მდებარე შენობა, საბავშვო ბიბლიოთეკის შენობა ა.შ.

ახალი ნარგავებით და ყვავილებით დამშვენდება ბაღები და პარკები. „სოფლის განვითარების“ პროექტით, რომელიც მუნიციპალიტეტს იღებს მონაწილეობას და 50%-ით აფინანსებს, ჩვენს დაბა-სოფლებში მიმდინარეობს მთელი რიგი სამუშაოები. მუნიციპალიტეტის მერის ყურადღება მივაქცევინე იმას, რომ ჩვენი გაზთვის ჯანსაღ კრიტიკას ზოგიერთი წარმოება-დანესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელების რეაგირება არ მოსდევს. მაგალითად, მერიის შენობის წინ, ქუჩის მეორე მხარის ტროტუარის რკინის ლიბებზე, სულ რაღაც 50 მეტრ სიგრძეზე, ჩამოკიდებულია ნაგვის საბიწნე ყუთი, რომელიც მოქალაქეებს ხელს უშლის გადაადგილებაში. აქ ერთი ყუთიც საკმარისი იქნებოდა. ორი კი უნდა მოისხნას და სადმე სხვაგან იქნეს გადატანილი. №1 საჯარო სკოლის წინ (დიდი ხეების ძირში) მშენიერი პარკი გაკეთდა. აქ წყლის სადინარი არ იყო გაკეთებული; გაზების კრიტიკა გაითვალისწინეს მშენებლებმა, ერთ ადგილას ხელახლა ამოჭრეს დაგებული ფილები, მინა და ცხაური დააყენეს, მაგრამ ცოტა მოშორებით წყალი მიინც გუბდება და აქაც მეორე ცხაური გასაკეთებელი. გაზეთში აგრეთვე აღვნიშნეთ, რომ ფაფაში 9-სართულიანი ბინის ქვირა გადავსებულია რამდენიმე ტონიანი ნაგვით და საჭიროა მისი გატანა, რადგან მცირე მინისძირის შემთხვევაშიც (დმერთმა არ ქნას, მოხდეს) ისევ აქაურ მცხოვრებლებს ემუქრებათ საშიშროება. ბატონი ოთარ დამპირდა, რომ ამ საკითხების მოგვარებასაც მიაქცევს ყურადღებას.

უხანია ჯანაიკაშვილი.

სურნელით. ბალ-ნეოლოგიური დანესე-ბულებმა წარმოადგინეს გერმანულის ენისიტურ-რას. მოკლედ, ეს არის ვიში კავკასიაში“ 6:185. XIX საუკუნის 70-იან წლებში გერმანელმა მოგზაურმა ფრაიერ ფონ ტლამანმა იმოგზაურა რა კავკასიაში ასე აღწერს ბორჯომს: „ბორჯომი თავის აყვავებას მკურნალის უნარის მქონე წყაროებს უმაღლის, რომლებიც კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე პატიგორსკის შემდეგ, წყლის მოყვარული კავკასიური პუბლიკის ყველაზე დიდ მიზიდვასა და მოწონებას იმსახურებს. მეორე ელემენტი, რომელიც ბორჯომს ცნობადობას სძენს. არის ზაფხულის ჯანსაღი პარკი, რომელიც ვერუსებისგან უსაფრთხოა და 2630 ფუტი სიმაღლის გამო სრიალს, მზიან თბილისთან შედარებით ნაკლებად ცხელია. და ბოლოს, რაც მთავარია, საუცხოო მიდამო. როგორც მტკვრის, ასევე ორივე ღრმად შეჭრილი სანაპიროს სეობა, რომლებიც ერთი მილის სიგრძეზე, ას ნაბიჯზე ნაკლები დაშორებით ერთმანეთს პარალელურ რაოდ მიუყვებიან და მათ შორის ფარო, მტკიცე უღრმე, ეტრე ნოდებულები, ვორონცოვის პარკი მდებარე-

ბორჯომში საკურორტო სეზონი ოფიციალურად პირველ ივნისს გაიხსნა, თუმცა რადენაღ მომზადებული შეხვედა დამსვენებლებს საკურორტო ქალაქი, ეს კიდევ საკითხავია. გადათხროლი ქუჩები, განსაკუთრებით პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, აყრილი და გადაკვტილი სილამაზის ხიდი, კოსტავას პარკში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები. ეს ის მცირედი ჩამონათვალაა იმ დაუსრულებელი სამუშაოებისა, რომელიც ამჟამად ქალაქის მასშტაბით მიმდინარეობს. საერთოდ, ველარაფერს ვამბობ ცენტრალურ გზაზე თუ უბრალოდ სხვადასხვა უბანში არსებულ დაზიანებულ გზებზე. საღამოს სამსახურიდან დაბრუნებული მანქანით გზაზე მიდიხარ შენთვის და გზის ის ნაწილი, რომელიც დილით დაგებული დატოვე იმხელაზე ამოჭრილი გზებზე, გვერდი როგორ აუქციო, აღარ იცი. ამას წინათ ერთ-ერთი ნაცნობი ყვებოდა, რომ ქალაქის ცენტრში მთავარ მოედანზე მიმავალს პატრულის მანქანა დაენია, იმის იმდით, რომ ნასვამ მძღოლს დაიჭერდნენ. ეჭვი, როგორც ჩანს, იქიდან შეიტანეს სამართალდამცვეებმა, როდესაც მანქანამ ზიგ-ზაგისებურად მოძრაობა დაიწყო, თუმცა ნაცნობი მძღოლის პასუხი ჩატარებული პროცედურის შემდეგ სამართალდამცვეების მისამართით ის იყო, რომ ჯერ წლებია სასმელი არ დამიღვიაო და მერე კიდევ, მე თუ ვხედავ ამოჭრილ გზას, თქვენ ვერ ხედავთო? მანქანა როგორ უნდა ამქცია ამოჭრილი გზისთვისო? შოდა, ისინიც ბოდიშის მოხდით დაემშვიდობნენ ფეხებულ მძღოლს.



მოსახლეობა რომ კარგვას და ცუდაც ნამდვილად ხედავს, ამაში ორი აზრი არ არსებობს და რა თქმა უნდა, ხედავს კიდევ: „მოყვარეს პარკში უზრახვე, მტერს პირს უკანაო“, ხომ გაგიგიათ და საზოგადოებაც სწორედ ამ პრინციპით ცხოვრობს, თუმცა ვისაც სიმათვე ეხება, რადენაღ სამიზნობით, ეს კიდევ მეორე საკითხია.

პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე უფასო ატრაქციონებით ბორჯომელმა ბავშვებმა ისარგებლეს, საკმაოდ ბევრმა ადამიანმა მოიყარა თავი პარკის ტერიტორიაზე. ამიტომაც გადაწყვიტე, რომ სწორედ ამ დღეს მესარგებოდა შემთხვევით და მოსახლეობისთვის მეკითხა აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოსწონთ ზოგადად ბორჯომში და როგორ შეაფასებდნენ იმ სამუშაოებს, რაც ამ ეტაპზე ქალაქში მიმდინარეობს. ნონა - არა მარტო დღეს, ისედაც ხშირად მიწევს ხოლმე მინერალურ წყალზე ამისვლა პარკში და რასაც წლებია ვუყურებ, ვითომ სულ რაღაც კეთდება და წესით არც არაფერი შემატეხია პარკს. დღეს ავერ რამდენიმე ატრაქციონი მხოლოდ რამდენიმე საათით მომსახურა ბავშვებს. კოსტავას პარკთან გავლა აღარ მინდა, თან ისედაც პარკის სიახლოვეს ვცხოვრობთ და ლამის გული გამისკდეს, გადათხროლი პარკს რომ ვუყურებ. შუა სეზონის დაწყების წინ ასეთი სამუშაოების დროა? თამაზა - ქუჩაში გასვლა აღარ მინდა. სილამაზის ხიდს ხომ საერთოდ დასრულება არ უნერია. უკვე ვეღარ ვითვლით მერამდენად უტარდება რეაბილიტაცია? ხომ შეიძლება სეზონის დაწყებამდე მოამთავრონ ყველაფერი? საყვედურს იტყვი და აქვე გედავებიან: რატომ? რისთვის? იმისთვის, რომ სიმათელს ვამბობ და არ დაგებამვე-ბუღვარს, ცოტა ხომ უნდა იფიქრონ, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს? ბოლოს და ბოლოს, საკურორტო ქალაქი თუ არა?

უცხოური წყაროები ბორჯომის შესახებ

რეგიონში პოლიტიკურ-მა სტაბილურობამ, არაჩვეულებრივი სილამაზის ბუნებაში, მინერალური წყლების უნიკალურმა თვისებებმა და იმ დროის ახალი სანარმოებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებამ მოგზაურთა მხრიდან დიდი ინტერესი გააჩინა ბორჯომის შესახებ საინტერესო და მნიშვნელოვან ცნობებს ესვდებით გერმანელ, ბელგიელ, ინგლისელ, ფრანგ, რუს და სხვა მოგზაურთა ჩანაწერებში. რომლებიც ამ მხარეს სტუმრობდნენ დიპლომატიური მისიით, კომერციული საქმიანობისათვის, დასასვენებელ-სამკურნალო თუ გართობა-ნადირობის მიზნით. ისინი თავიანთ ჩანაწერებში, ბორჯომს „კავკასიის მარგალიტს“ ან „კავკასიის ვიში“-ს უწოდებენ.

თავს აფარებენ ბორჯომის გრძელ და ჩრდილო-აღმოსავლეთ-იან ადგილებს. 6:184. მოგზაურზე დიდი შთაბეჭდილება მაინც დიდი მთავრის მიხედვით ნიკოლოზის ძე რომანოვის სასახლე-



კუთხე. მოგზაური ასე აღწერს ბორჯომის სეობას: „ველ კოშკთან, რომელიც ოდესღაც იცავდა ბორჯომის სეობას, გარკვეულ მანძილზე მოჩანს კლდეზე დგომი ნობილი თაღოვანი ხოლის ნანგრევები. გზაზე გვხვდება ოთხი ან ხუთი ამგვარი ნაგებობა. რაც უფრო მივიწვევთ წინ, მით უფრო გრანდიოზული ხდება იშლები. მთების თითქმის მწვერვალამდე მოფენილია ასწლოვან ხეებს შორის ჩადგმული მთის სახლებით. ზაფხულში გზა სავსეა ტურისტებით, რომლებიც გაბრუნდებიან თბილისის სიციხეს და

სა და მის საუცხოო ბაღს მოუხდენია: „...დიდი მთავრის დასასვენებელი სახლი აშენებულია მთის ფერდობზე. შერეული ცილის, მონათალო ფერის კედლებით, გალენის ტიპის აივნებით, მისი პატარა სამრეკლო პარმონიულად ერწყმის მის გარშემო მდებარე ნაძვებსა და ფიჭოებს... სასახლის გარშემო გაშენებულია ვრცელი ბაღი ენებულისა ვრცელი ბაღი სასვე იშვიათი მცენარეებით. ბაღი ყვამლა მხრიდან ირწყვება კლდედან გამოყვანილი მიდებით, რომლებიც წყლით ამარაგებენ მოლივივი შედრევენებს. რეგიონში კარგი და ჯანსაღი პარკი, ფიჭვის

ოხს, გთავაზობენ უცხოელ მრავალფეროვნებას საუცხოო სეირნობისთვის: ნაძვირბინი ხეები, მქეფარე ნაკადულები და გზის ყველა მოსახვევში ახალი ხეები: ხან მალაიკი კლდეები გვირგვინოსანი მთები, ხან ტყის წყარო მდელითა ან ძველი მონასტრის ნანგრევები. ეს გარემო ნარსულში უცხოობა და უკეთესი დროის მომსწრეა, რადგან ტყის სიღრმესა და ქართულ ღარიბულ სოფლებში ვხვდებით ეკლესიებსა და სამლოცველოებს, რომელთა საუცხოო მშენებლობის სტილი ხელაგუნების მაღალ საფეხურზე მდებარეობს“ 6:104.

თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები ფრაიერ ფონ ტლამანმა 1875 წელს ლაიფციგში გამოსცა ნიგნადა „მესკურსია კავკასიაში, სპარსეთსა და აზიურ თურქეთში“ ილუსტრაციებითა და გაზამკველვი რუკებით.

ელმი დემილოვი რუსული წარმომავლობის იტალიელი. ის 1890-იან წლებში სტუმრობდა დიდ მთავრს ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვს. ელმი დემილოვი ასე აღწერს ბორჯომს: „ქალაქი ძირითადად შედგება უღამამაზის ვილებიდან, რომლებიც მიმოფანტულია ზემო მტკვრის სანაპიროების გასწვრივ; მცენარეულია და მსატრელები ბაღები ამ

ადგილს ხდის ერთერთ ულამაზეს და საუკეთესოს სოფელსა და მთა-ზე“ (2:467).

დემილოვი გატაცებული იყო ნადირობით, რის გამოც მისი კავკასიაში ვიზიტი ძირითადად ნადირობის ეხება. მან 1898 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოსცა თავისი მოგზაურობის დღიურები „ნადირობა კავკასიაში“.

და ბოლოს, რუსი დრამატურგის მიხეილ ნიკოლოზის ძე ვლადიკინის შთაბეჭდილებებ ბორჯომზე, რომელმაც 1874 წელს მოსკოვში გამოსცა „გზამკვლევი და სასაუბრო კავკასიაში მოგზაურობისას“.

„დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე მომთბლავი ადგილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთების მეფური სიდადით და წყლების სიუხვით, რომლებიც მუდმივი სმაურით ასეუბნენ მთელ ქალაქს - ბორჯომი სეზონის ბადენ-ბადენს, ვის-ბადენს, ვილდბახს, კარლსბადს და დასავლეთ ევროპის მთის სხვა ადგილებს, საითხვენაც ასე უყვარსთ გამგზავრება ჩვენს თანამემამულეებს“ (3:409).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გზ. „ბორჯომი“ №22, 2 ივნისი.

სინო შილაშვილი საქართველოს საბატონიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასისტენტი-პროფესორი, ისტორიის დოქტორი. (გაგრძელება იქნება)

